ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №3

03.07.2015

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირ განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე.
მაია მაღლაკელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი;
ლაშა მკურნალიძე - ა(ა)იპ - სკოლა-ოჯახი - საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი;
ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
თამარ ცირეკიძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მანანა რატიანი - სსიპ -მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ - კონსულტანტი;
პავლე თვალიშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი, შპს განათლებისა და მართვის გუნდის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ლალი შაიშმელაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

საფფეთ ბაირაქთუთან - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დირქტორი;
ნინო მოჩიანაშვილი - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილე;
ნათია მაკარაძე - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;
ცირა გაბაიძე - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის თარჯიმანი;

მეჰმეთ სალიჰ ქოჩ - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი.
დავით ლომსაძე - სსიპ-გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წარმომადგენელი;
ნინო კობაიძე - შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულის ი.ა-ს დირექტორი;
ნინო ჭანკვეტაძე - შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ს წარმომადგენელი;
ზვიად ხაჭაპურიძე - შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ს წარმომადგენელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

დავით ჭეიშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
ნელი ნასყიდაშვილი;
ნოდარ ანგურიძე;
ლიანა კობესაშვილი;
ნინო ბალანჩივაძე;
ქეთევან ბოტკოველი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:42 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე საბჭოს დამსწრე წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნოს სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის აკადემიური სკოლის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენელებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს თბილისის აკადემიური სკოლის მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2015 წლის 5 მაისის საბჭოს სხდომაზე სკოლას ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვრა 15-დღიანი ვადა. ლევან მადათოვმა წაიკითხა დაწესებულების 2015 წლის 29 ივნისის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №617101), რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შპს თბილისის აკადემიური სკოლა 2015 წლის სექტემბრიდან მოსწავლეთა მცირე კონტიგენტიდან და სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, ვეღარ შეძლებდა საგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ რევაზ აფხაზავამ დასვა კითხვა, თუ რა ბედი ეწეოდათ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უწევდათ გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდები უკვე დასრულებული იყო, ხოლო სკოლაში დარჩენილი მოსწავლეები დადგენილი წესის შესაბამისად, შეფერხების გარეშე შეძლებდნენ სხვა ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებებში მობილობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის აკადემიური სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის აკადემიურ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი:404865990) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლის მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წევრმა ლალი შაიშმელაშვილმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველი გახდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2014 წლის 6 ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტიდან შემოსული №880295 წერილი, რომელიც ეხებოდა სკოლის კურსდამთავრებულთა საატესტატო გამოცდებზე დაშვებისა და მათზე ატესტატის გაცემის თაობაზე სკოლის დირექტორის, საფფეთ ბაირაქთუთანის წერილის განხილვას და მასზე რეაგირებას. ანალოგიური თხოვნით სკოლის დირექტორმა 2013 წლის 11 ოქტომბერს მიმართა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს. ორივე წერილზე გაცემულია პასუხები, რომლებითაც სკოლას უარი ეთქვა საატესტატო გამოცდებზე კურსდამთავრებულთა დაშვებაზე. ცენტრმა საჭიროდ მიიჩნია სასკოლო სასწავლო გეგმის ადგილზე შესასწავლად ავტორიზაციის ვიზიტის განხორციელება. ლალი შაიშმელაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. სკოლაში სწავლება კემბრიჯის პროგრამით მიმდინარეობდა, სახელმძღვანელოებიც იყო პროგრამის შესაბამისი - ინგლისურ ენაზე. გამონაკლისს წარმოადგენდა ქართული ენა და ლიტერატურა და თურქული ენა. 2012 წლის 17 თებერვალს სკოლამ მიიღო კემბრიჯის საერთაშორისო სკოლის რეგისტრაცია, რომელსაც ის ყოველწლიურად განაახლებდა (წარმოდგენილ იქნა საწევროს გადახდის ინვოისები). სკოლის კურსდამთავრებულები იღებდნენ ნიკოლოზ წერეთლის საერთაშორისო სკოლის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს და არა ატესტატს, რადგან ისინი არ იყვნენ დაშვებულნი საატესტატო გამოცდებზე. აღნიშნული სერტიფიკატის გარდა, კურსდამთავრებულები იღებდნენ კემბრიჯის საერთაშორისო სკოლის სერტიფიკატს, რომელიც მათ უცხოეთის უნივერსიტეტებში ჩარიცხვის საშუალებას აძლევს. სკოლის დირექცია უცხოური პროგრამის განხორციელებისას დაეყრდნო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011 წლის 6 ივნისს გაცემულ თანხმობის წერილს, რომლის თანახმადაც სამინისტრო არ იყო წინააღმდეგი, რომ სკოლას განეხორციელებინა საქმიანობა ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესით.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ ვინ აწერდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გასულ კორესპონდენციას ხელს. რაზეც ლალი შაიშმელაშვილმა აღნიშნა, რომ წერილს ხელს აწერდა აწერდა მინისტრის იმდროინდელი მოადგილე - ირინა ქურდაძე.

საბჭოს წევრი თამარ ცირეკიძე დაინტერესდა, თუ რა გახდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნული კორესპონდენციის საფუძველი და კონკრეტულად რა მოითხოვა დაწესებულებამ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სთხოვა ნებართვა, სწავლება განეხორციელებინა ეროვნული სასწავლო გეგმით

განსაზღვრული სავალდებულო საათობრივი დატვირთვის ცვლილების კუთხით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხვა დეტალებს ვერ იხსენებდა.
საბჭოს წევრმა მანანა რატიანმა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნიდან წაიკითხა ამონარიდი, რომ სკოლაში ქართული, როგორც მეორე ენა, საქართველოს მოქალაქეებისთვის ისწავლებოდა I-IX კლასებში, საათობრივი დატვირთვა მცირეოდენი განსხვავებებით ესგ-ს შესაბამისი იყო; X-XII კლასებში ქართული ენა ამოღებული იყო სასწავლო გეგმიდან; ინგლისური ენა ისწავლებოდა თორმეტივე წელს, როგორც მშობლიური ენა. მისი საათობრივი დატვირთვა მკვეთრად აღემატებოდა ესგ-თი გათვალისწინებულ 5 საათს და სხვადასხვა კლასში 8-დან 13 საათის ფარგლებში მერყეობდა. უცხო ენის სწავლება შემოდიოდა VI კლასიდან და ისწავლებოდა თურქული. მეათე კლასში მოსწავლეებს ეძლეოდათ არჩევანი რუსულსა და თურქულს შორის. მან ასევე დაამატა, რომ საგანი „ჩვენი საქართველო" არ ფიქსირდებოდა საათობრივ ბადეში. ამის საპასუხოდ, დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ მე-5 და მე-6 კლასების საათობრივ ბადეში უკვე განახორციელეს ცვლილებები და წამოღებული ჰქონდათ შესაბამისი სილაბუსები.

სხდომას 17:57 სთ-ზე შემოუერთდა საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რომელ წელს მიიღეს ავტორიზაცია, რაზეც დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ სკოლამ ავტორიზაცია გაიარა 2011 წელს. რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ 2011 წელს ეს საგნები სავალდებულო იყო, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული წესით სწავლების ნებართვის შესახებ საფუძვლის გარეშე ვერ იძლეოდა სრულ სურათს. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ, ორი წლის წინ, სკოლაში განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი და მაშინ ეს პრობლემა არ წამოწეულა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესდა სასკოლო საათობრივ ბადეში ხომ არ ფიქსირდებოდა მსგავსი პრობლემები სხვა საგნებთან მიმართებით, რაზეც მანანა რატიანმა აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფიდან საბაზო საფეხურზე სასწავლო გეგმიდან ამოღებული იყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა - VIII-IX კლასებში, ასევე საშუალო საფეხურზე სასწავლო გეგმიდან ამოღებული იყო სპორტის გაკვეთილები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-5 და მე-6 კლასების საგანში „ჩვენი საქართველო" იყო განსხვავება, სხვა სახელით იყო წარმოდგენილი, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია ისწავლებოდა თითო საათით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რატომ არ დაუშვეს დაწესებულების მოსწავლეები სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე. ლალი შაიშმელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას უარი ეთქვა საატესტატო გამოცდებზე კურსდამთავრებულთა დაშვებაზე იმ მიზეზით, რომ დაწესებულება ახორციელებდა ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებულ, ინგლისურენოვან პროგრამას, შესაბამისად, დაწესებულებას სურდა მოსწავლეებს აღნიშნული გამოცდები ჩაებარებინათ ინგლისურ ენაზე, რაც შეუძლებელი იყო სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის რეგულაციების მიხედვით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ გამოსაშვები გამოცდების სამზადისი დაწესებულებამ გაიარა შესაბამისი პროცედურის დაცვით პირველივე წელს. მომდევნო წელს სკოლის გამოსაშვები გამოცდები არ ჩატარებულა, ხოლო ერთი წლის შემდეგ სკოლას აღარ მიეცა უფლება აღნიშნულ გამოცდებზე დაეშვა მოსწავლეები.

საბჭოს წევრმა მანანა რატიანმა განაცხადა, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა ვერ ხერხდებოდა, რადგან აცდენა იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვაში. სავალდებულო საგნების ნაცვლად,

დაწესებულებას ჩამატებული ჰქონდა სხვა სასწავლო კურსები და ინგლისური გაძლიერებულ რეჟიმში ისწავლებოდა. მან დაამატა, რომ აღნიშნული პრობლემა ფიქსირდებოდა როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობა ფულს იხდიდა იმისათვის, რომ სკოლებს შეესრულებინათ ეროვნული სასწავლო გეგმა და გასულიყვნენ ზოგადი განათელების ეროვნული მიზნებით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ სჭირდებოდათ ავტორიზაცია, ვაუჩერული დაფინანსების მიღების გარდა. დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ დაწესებულებას სურდა კანონმდებლობასთან თავსებადი საქმიანობის განხორციელება და ქართულ საგანამანათლებლო სივრცეში მაქსიმალური ინტეგრაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა , რომ სკოლამ გაითვალისწინა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და საათობრივი ბადის ადაპტირება, რაზეც მანანა რატიანმა განაცხადა, რომ დამატებით საგნებთან ერთად მოსწავლეებს ყოველდღიურად ათ გაკვეთილზე მოუწევდათ დასწრება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებს არ ექნებოდათ შვიდ გაკვეთილზე მეტი, რაზეც საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში გაუგებარი იყო, როგორ მოიყვანა სკოლამ საათობრივი ბადე ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:18 სთ-ზე.
სხდომა განახლდა 18:26 სთ-ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, მართალია, სკოლა ავტორიზებულ დაწესებულებას წარმოადგენდა, მაგრამ რთული იყო არსებული ფაქტობრივი გარემოებებით იმის დადგენა, ეროვნული სასწავლო გეგმიდან განსხვავებულ რა ტიპის სწავლების განხორციელებაზე გასცა თანხმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. დაწესებულებას ხარვეზები უფიქსირდებოდა ასევე საათობრივ ბადეში, შესაბამისად, მან წინადადებით მიმართა საბჭოს აღნიშნულის გამოსასწორებლად დაწესებულებას მისცემოდა 15-დღიანი ვადა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გაეგრძელებინა საკითხის შესწავლა. მან ასევე თხოვნით მიმართა დაწესებულებას, მოეთხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან მისი კორესპონდენცია, რომლის საფუძველზეც გაიცა თანხმობა. ამით საბჭოს მიეცემოდა საშუალება საკითხი უფრო ნათლად წარმოედგინა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლისთვის 15-დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 7
წინააღმდეგი: - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლი მე-4 პუქტის შესაბამისად, შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლას (ს/კ:200266407) სტანდარტებთან შესაბამისი პირობების გამოსწორების მიზნით გაესაზღვროს 15 დღე.

3. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა მიხეილ ტეფნაძემ და ლიანა კობესაშვილმა. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი გარემოებები:

1.საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. 2014-2015 სასწავლო წელს სკოლის მიერ არჩეული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის" ნაწილის მიხედვით, დაწესებულებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნისთვის არჩეული ჰქონდა გრიფირებული სახელმძღვანელოები, გარდა მათემატიკისა (VIII-XI კლასები), ქიმიისა (VIII-XI კლასები), ფიზიკისა (VIII-XI კლასები) და ბიოლოგიისა (VIII-XI კლასები). სასწავლო-აღმზრდელობით დარგში შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. ბათუმის რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილემ ნათია მაკარიძემ წარმოადგინა აღნიშნული კლასების საგნების სახელმძღვანელოები და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2012 წლის 10 სექტემბრის წერილი. წარმოდგენილი სახელმძღვანელოები ინგლისურენოვანი იყო, ხოლო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2012 წლის 10 სექტემბრის წერილის მიხედვით, „ ... ცენტრის მიერ მოწონებულ იქნა სახელმძღვანელოები: ბიოლოგია (VIII და XI კლასები), გენეტიკა, ციტოლოგია; ქიმია (VIII და XI კლასები); ფიზიკა (VIII და XI კლასები), მექანიკა, ელექტროენერგია და მაგნეტიზმი; მათემატიკა (VIII და XI კლასები თითოეული ორ ნაწილად); ... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს მიეცა უფლება გამოიყენოს ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოები სასწავლო პროცესში ცენტრი თანახმაა, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების სკოლა-ლიცეუმმა სხივმა (ს/კ 205257407), ... და შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების ქ. ბათუმის რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმმა (ს/კ 245618675), რომლებიც 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულია შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მიერ გამოიყენონ ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოები სასწავლო პროცესში". გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2012 წლის 10 სექტემბრის წერილში ნებადართული სახელმძღვანელოების დასახელება მითითებული იყო ქართულ ენაზე, ხოლო წარმოდგენილ სახელმძღვანელოებზე - ინგლისურ ენაზე, მაგ.: "Mathematics, Physics, Chemistry, Biology", წიგნის გვერდებზე არ იკითხებოდა გამოყენების შეთანხმების ან

გამოყენების ნებადამრთველი ტექსტი და ამავე წერილის შინაარსით არ დგინდებოდა, რა ენაზე იყო მითითებული სახელმძღვანელოები,. ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტის დროს ვერ დადგინდა, იყო თუ არა წარმოდგენილი წიგნები ზუსტად ის სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენების უფლება მიეცა სკოლას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან. (დანართი №1 – 46 ორმოცდაექვსი ფურცელი) თურქულ ენას III-VI კლასებში წიგნი დასახელებით "sevgi dili", VII-XII კლასებში "lale";

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სახელმძღვანელოებთან მიმართებით გაცემულ კორესპონდენციებზე ჭირდა იმის დადგენა, კონკრეტულად რომელი წიგნების გამოყენების უფლება მიეცა ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელს. ექსპერტებმა ადგილზე ვერ დაადგინეს ვიზიტის დროს წარმოდგენილი წიგნები კონკრეტულად ის სახელმძღვანელოები იყო თუ არა, რომელიც მოიწონა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინეს რამდენიმე სახელმძღვანელო (ფიზიკა მე-9-10 კლასი, ქიმია მე-8-10 კლასი), რომელთა პირველ ფურცელზე იკითხებოდა შემდეგი ტექსტი: „ამ სახელმძღვანელოს გამოყენება ნებადართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის 2 ოქტომბრის №28869 წერილის საფუძელზე". დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლება ამ პროგრამებით მიმდინარეობდა და აქამდე სკოლა-ლიცეუმს პრობლემა არ შექმნია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს პრობლემა მთელ ჩაღლარის საგანამანათლებლო დაწესებულებების ქსელს ეხებოდა და სთხოვა სკოლის წარმომადგენლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან გამოეთხოვა ის კორესპონდენცია, რომლითაც მან ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით სწავლების უფლება მოიპოვა.

1.2. სკოლის ვიზუალური დათვალიერებისა და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. ბათუმის რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილის, ნათია მაკარიძის, ინტერვიუირებით გაირკვა, რომ დაწესებულება სწავლება-სწავლის პროცესს ახორციელებს ქართული და თურქული სექტორებითა და სკოლამდელი აღზრდის პროგრამით. ქართული და თურქული სექტორები დამოუკიდებელი იყო და მათ განხსხვავებული სასწავლო პროგრამა ჰქონდათ, თუმცა, საგაკვეთილო ცხრილის აგებისას ორივე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი პროგრამის განხორციელებას ხელი არ ეშლებოდა. ანალოგიური დადასტურდა ექსპერტის მიერ საგაკვეთილო ცხრილის გადამოწმებისას. ქართულ სექტორზე ირიცხებოდნენ ქართველი, ხოლო თურქულ სექტორზე თურქი მოსწავლეები. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში არ იყო ასახული ინფორმაცია აღნიშნული თურქული სექტორის შესახებ, სექტორის თურქულენოვანი პროგრამა არ გადამოწმებულა. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, თურქულენოვან სექტორზე მოსწავლეები სწავლობდნენ I-VII კლასებში და მოსწავლეთა რაოდენობის ჯამი შეადგენდა 81 მოსწავლეს. აღნიშნული კლასები და მოსწავლეები დაფიქსირებული არიან სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში, რაც გადამოწმდა დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში მოსწავლეთა ბაზით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხდებოდა თუ არა აღნიშნულ მოსწავლეებზე ვაუჩერის გაცემა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი თურქულ სექტორზე ჩარიცხულ მოსწავლეებზე არ იღებდნენ ვაუჩერულ დაფინანსებას. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ბაზაში დაფიქსირების მიზნით, მიმართეს შესაბამის რესურს-ცენტრს, რომელმაც დაწესებულებას შუამდგომლობა გაუწია სსიპ - განათლების მართვის

საინფორმაციო სისტემასთან, რათა აღნიშნული მოსწავლეები დაფიქსირებულიყვენენ მოსწავლეთა ბაზაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, განემარტა თურქულ სეტორთან არსებული ფაქტობრივი ვითარება, რაზეც დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ მოსწავლეები აღნიშნულ სექტორზე სწავლობდნენ მხოლოდ მერვე კლასის ჩათვლით. მათ არ ჰქონდათ ქართული პირადი ნომრები და იყვნენ თურქეთის მოაქალაქეები. დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია მაკარიძემ აღნიშნა, რომ მათ სკოლას ჰქონდა თურქულ ენაზე სწავლების განხორციელების უფლება და შესაბამისი საბუთები გადასცა საბჭოს.

საბჭოს წევრმა მანანა რატიანმა აღნიშნა, რომ დოკუმენტები წარმოადგენდა აუდიტორულ დასკვნებს და არა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემულ ნებართვას სწავლების ენასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესი ხშირად გამოავლენდა სისტემის ხარვეზებს, რომლის უყურადღებოდ დატოვების უფლება საბჭოს ჰქონდა, რადგან საქმე ეხებოდა მოსწავლეთა ინტერესებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1. 2010 წლის 27 სექტემბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. ბათუმის რ. შაჰინის სახელობის სახ. მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის საკუთრებაში იყო ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა №117-ში საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (დაუზუსტებელი ფართობი: 24210.00 კვ.მ.) მდგარი შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 5661.28 კვ.მ. (საკადასტრო კოდი №05.26.03.012). სკოლის დირექტორის განმარტებით, მიმდინარეობდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში სკოლის ტერიტორიაზე ახლადაშენებული შენობის რეგისტრაცია და რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, ავტორიზაციის საბჭოზე წარმოადგენდა განახლებულ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან. ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლა სწავლება-სწავლის პროცესს ახორციელებდა ქართულ და თურქულენოვან სექტორებსა და სკოლამდელი აღზრდის პროგრამაზე. ქართულენოვანი და თურქულენოვანი სექტორების მოსწავლეები და სკოლამდელი აღზრდის პროგრამის აღსაზრდელები განთავსებული იყვნენ დამოუკიდებელ საკლასო ოთახებში, თუმცა, სარგებლობდნენ დაწესებულების მფლობელობაში არსებული ინვენტარითა და სხვა ქონებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრობლემა უკვე მოგვარებული იყო და წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საბჭო გაეცნო წარმოდგენილ მასალებს.

2.2. სკოლის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში განთავსებული იყო 37 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილი იყო 219 ინდივიდუალური მერხითა და სკამით და 203 ორადგილიანი მერხითა და სკამით. ყველა საკლასო ოთახში იყო დაფა, მასწავლებლის მაგიდა სკამით, კარადები და კლასების უმეტესობაში - თითო პროექტორი და პერსონალური კომპიუტერი. დაწესებულების დირექტორის განცხადებით, მოსწავლეთა სასურველი რაოდენობის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებისა და სკამების შეძენის დამდასტურებელ დოკუმენტაციას წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

2.3. სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავდა 1435 წიგნად ერთეულს, მათ შორის, მხატვრულ ლიტერატურას, მეთოდურ ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს. წიგნები გატარებული იყო საინვენტარო წიგნში, დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკას აქვს ანბანური და სისტემური კატალოგი, ასევე, ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკაში გამოკრული იყო სარგებლობის წესი და მუშაობის საათები. დაწესებულებას

ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებული იყო ხელშეკრულება. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იყო ყველა კლასის გრიფირებული სახელმძღვანელო, გარდა მათემატიკის (VIII-XI კლასები), ქიმიის (VIII-XI კლასები), ფიზიკის (VIII-XI კლასები) და ბიოლოგიის (VIII-XI კლასები) სახელმძღვანელოებისა, რომელთა შესაბამისობაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას ვერ დადგინდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2012 წლის 10 სექტემბრის წერილის შინაარსთან.

2.4. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული 1 გარე პერიმეტრის შესაბამისი პარამეტრების კამერა, რომელიც დამონტაჟებული იყო სკოლის შენობის ფასადზე და რომლითაც კონტროლდებოდა სკოლის ტერიტორიის მთავარი შემოსასვლელი. ვიზიტის დროს არ იყო დამონტაჟებული და არ კონტროლდებოდა სკოლის გარე პერიმეტრის ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილი. დაცული იყო ამავე ბრძანებით განსაზღვრული დამონტაჟების ექსპლუატაციის წესები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა მოგვარებული იყო და სკოლამ გამოასწორა დასკვნაში მითითებული ხარვეზი.

საბჭოზე გამოცხადდა შესვენება 19:06 საათზე.
საბჭო განახლდა 19:23 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა რეკომენდაციით, რომ საკითხის განხილვა გადადებულიყო მომდევნო სხდომისათვის, რადგან იკვეთებოდა გარემოებები, რომლებიც საკითხის დამატებით შესწავლას საჭიროებდნენ და სხდომაზე მათი შესწავლა ფიზიკურად შეუძლებელი იყო ინფორმაციის ნაკლებობის გამო. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სახელმძღვანელოებით ნამდვილად შეუძლებელი იყო გამომცემლობის, ავტორისა და გამოცემის წლის დადგენა, რამაც ექსპერტებს ბუნებრივად გაუჩინა შეკითხვები. რეზო აფხაზავამ აქვე დაამატა, რომ თურქულ სექტორთან დაკავშირებით საჭირო იყო საბჭო გასცნობოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიციას და აუდიტორული დასკვნა არ იყო იმის დამამტკიცებელი არგუმენტი, რომ დაწესებულებას მსგავსი მიმართულებით სწავლების განხორციელების უფლება ჰქონდა.

საბჭოს წევრმა ლაშა მკურნალიძემ განაცხადა, რომ მხარს უჭერდა თავმჯდომარის პოზიციას. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულების პოზიციაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ ჰქონდა, თუმცა, საბჭო საჭიროებდა პოზიციის დასაბუთებას დოკუმენტურად. მისთვის გაუგებარი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის გარეშე ორ სექტორზე სწავლების განხორციელება, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა არ უშვებდა მსგავს გამონაკლისებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აუდიტორიული დასკვნა და ნასყიდობის ხელშეკრულება არ იყო ამის დამადასტურებელი დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს საკითხი შეესწავლა დამატებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩაღლარის საგანამანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის მომდევნო სხდომისთვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შპს ჩაღლარის საგანამანათლებლო დაწესებულებების ქ.ბათუმის რ.შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის (ს/კ:245618675) ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისათვის.

4. სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორრც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნელი ნასყიდაშვილმა და ჯგუფის წევრმა ნოდარ ანგურიძემ. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში და დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა სამივე სტანდარტს. ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის ფაქტობრივი გარემოება:

1.მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1. ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ვერ ხერხდებოდა სწრაფად, რაზეც დაწესებულებამ აღნიშნა, რომ პროვაიდერს შეექმნა პრობლემა და გამოსწორების შესახებ წერილი უკვე წარმოდგენილი ჰქონდათ. აქვე დაამატეს, რომ ისინი აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელს.

1.2. ლიცეუმის წესდების მე-18 მუხლის მეორე პუნქტში ეწერა შემდეგი: ,,დისციპლინური კომიტეტი იქმნება 1 წლის ვადით და დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის არჩევა და მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით.", ხოლო კადეტთა ქცევის კოდექსის მე- 8 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის მიხედვით: ,,სააპელაციო კომიტეტი იქმნება კადეტის განცხადების საფუძველზე სამეურვეო საბჭოსა და ლიცეუმის დირექტორის გადაწყვეტილებით, ობიექტური შერჩევის პრინციპით," რაც აშკარა წინააღმდეგობრივ ნორმებს წარმოადგენდა, თუმცა ლიცეუმის წარმომადგენლების განმარტებით, ასეთ შემთხვევას (სპეციალური შემადგენლობის მოწვევას) ჯერ ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტები, სხვადასხვა შინაარსის ერთეულებია, წარმოადგენდა, რაზეც ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტებში თარიღი არ იყო მითითებული და ამ ფაქტმა წარმოშვა კითხვები.

დაწესებულების იურისტმა განაცხადა, რომ სამხედრო ლიცეუმი თავდაცვის სამინისტროს მიურ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენდა და შესაბამისად, მათზე ვრცელდებოდა როგორც განსხვავებული, ასევე თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული კონკრეტული რეგულაციები.

საბჭოს წევრმა თამარ ცირეკიძემ დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით მიმართა, თუ როგორ ხდებოდა რელიგიის ისტორიის სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჰყავდათ სამხედრო მოძღვარი და ამ მხრივ სწავლების პრობლემა არ არსებობდა. თამარ ცირეკიძე შეეკითხა მათ, რომელი სახელმძღვანელოთი

ისწავლებოდა ეს საგანი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლება მიმდინარეობდა ინტეგრირებული წიგნით.

საბჭოს თავმჯდომარემ რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, გარდა იმისა, რომ საჯარო რეესტრიდან ამონაწერი არ მოიძებნება, დაწესებულებასთან მიმართებით სხვა ხარვეზი არ არსებობდა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგან სკოლა-ლიცეუმი ეკუთვნოდა თავდაცვის სამინისტროს, შესაბამისად, იგი არ იძებნებოდა არც რუკაზე და არც რეესტრიდან არსებობდა ამონაწერის მიღების შესაძლებლობა.

თამარ ცირეკიძემ იკითხა, რას გულისხმობდა დაწესებულების მისიაში აღნიშნული ფრაზა - კადეტთა „საზოგადოებრივი ცხოვრების ადაპტირება". დაწესებულებამ უპასუხა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ადაპტირებაში გულისხმობდნენ მოზარდების მომზადებას სამომავლო საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

საბჭოს წევრმა პავლე თვალიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, შეძლებდა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდი გამხდარიყო ლიცეუმის მოსწავლე. ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა წაიკითხა ამონარიდი დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და კადეტის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც ლიცეუმში ჩარიცხვას არ ექვემდებარებოდნენ მოსწავლეები, „რომლებიც ჰოსპიტალის სამედიცინო კომისიის მიერ ლიცეუმში სწავლისათვის უვარგისად იქნებიან ცნობილნი". დაწესებულებამ განაცხადა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის №360 ბრძანებით პირი გადიოდა სამხედრო სამედიცინო შემოწმებას და, შესაბამისად, ფიზიკურ მომზადებასთან დაკავშირებით უნდა დაეკმაყოფილებინა კონკრეტული მოთხოვნები.

ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურდა მოსწავლეთა ადგილები განსაზღვრულიყო 330 მოსწავლით, რაც ასევე დაადასტურა სკოლა-ლიცეუმის დირექტორმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 7
წინააღმდეგი: - 0

გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმს (ს/კ: 212922612) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 330-ით.

5. შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სკულ ი.ა - ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ლიანა კობესაშვილმა და ჯგუფის წევრმა მიხეილ ტეფნაძემ. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები, კერძოდ:

1. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა 2015 წლის 19 ივნისის ხელშეკრულება უძრავი ნივთის იჯარის შესახებ, რომლის მიხედვითაც „ ერთი მხრივ საქართველოს მოქალაქე გურამ ამირიძე პ/ნ 01017001265 (შემდგომში „მეიჯარედ" წოდებული) მეორე მხრივ შპს „ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სკულ ი.ა", ს/კ 405044991 მისი დირექტორი ნინო კობაიძე პირადი №010110003616 (შემდგომში მოიჯარედ წოდებული) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას"... ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა „პირად საკუთრებაში არსებული ოთხსართულიანი შენობა 563.43 კვ.მ და ანტრესოლის ფართი 33,29 ფართი (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №58)"... ხელშეკრულება მოქმედებდა ექვსი წლის განმავლობაში და ძალაში შედიოდა 2015 წლის 19 ივნისიდან."... დაწესებულებამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 19 ივნისის განცხადების მიღების ბარათი, რომლის მიხედვითაც, „მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: შპს „ ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სკულ ი.ა"/ 405044991/, მესაკუთრე: გურამ ამირიძე / 01017001265/), რომლითაც მოთხოვნილია იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი თბილისი. ქუჩა კოსტავა, №58. [ზონა: თბილისი, სექტორი: მთაწმინდა]". ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მეორე დღეს, 2015 წლის 23 ივნისს, დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში განცხადების მიღების ბარათი, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას წარდგენილი აქვს განაცხადი 2015 წლის 19 ივნისის განცხადებაში დამატებით წარდგენილი დოკუმენტაციის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის მომზადების პროცესში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სკულ ი.ა - ს 2015 წლის 29 ივნისის №2-03 წერილი, (ცენტრში რეგისტრაციის №617148, 29.06.2015,), რომელსაც თან ერთვის საჯარო რეესტრის ამონაწერი, (მომზადების თარიღი: 23.06.2015 17:32:16). აღნიშნული ამონაწერის მიხედვით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მეორე დღისთვის (2015 წლის 23 ივნისი) შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სკულ ი.ა-ს (ს/კ: 405044991) და ფიზიკურ პირ გურამ ამირიძეს (პ. №01017001065) შორის უძრავი ნივთის იჯარის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება დარეგისტრირებული იყო

საჯარო რეესტრში. მოიჯარე შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სკულ ი.ა (ს/კ: 405044991) 6 წლის ვადით ფლობს 596.71 კვ.მ ფართს.

1.2. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულებას მიეწოდებოდა ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, არსებულ 5 სველ წერტილს - წყალი და დამონტაჟებული იყო ცენტრალური გათბობის სისტემა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სკულ ი.ა-სა და ფიზიკურ პირ გურამ ამირიძეს შორის გაფორმებულ 2015 წლის 19 ივნისის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე მოხმარებული ბუნებრივი აირის (შპს ყაზტრანსგაზ-თბილისი) და ელექტროენერგიის (სს თელასი) გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, რომლებზეც აბონენტად ფიზიკური პირი გურამ ამირიძე იყო დაფიქსირებული, ხოლო წყალზე (შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი) - შპს თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის მომზადების პროცესში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სკულ ი.ა-ს 2015 წლის 29 ივნისის №2-03 წერილი, (ცენტრში რეგისტრაციის №617148, 29.06.2015,), რომელსაც თან ერთვოდა - ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში, შპს ყაზტრანსგაზ-თბილისში და სს თელასში განცხადებების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები.

1.3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში არ არის სპორტული დარბაზი და ეზოში მოედანი. თუმცა, დაწესებულებას 2015 წლის 22 ივნისს გაფორმებული ჰქონდა ერთწლიანი ხელშეკრულება ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტთან ქ. თბილისში, ხეთაგუროვის ქ. №27-ში მდებარე სპორტული დარბაზის, თვეში 48 საგაკვეთილო საათის, გამოყენების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა პავლე თვალიაშვილმა იკითხა, თუ როგორ მოხდებოდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰყავთ დაქირავებული სპეციალური მიკროავტობუსი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების გადაადგილებას.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1. სკოლის მასწავლებლები შერჩული იყვნენ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად. გამონაკლისს წარმოადგენდა ქართული ენისა და ლიტერატურისა და მათემატიკის მასწავლებელი თამარ კირვალიძე, რომელსაც კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული ბიზნესის ადმინისტრირებაში, ხოლო რუსული ენის მასწავლებელ ნატალია ჩაგელიშვილს დიპლომი ჰქონდა ნატალია კოდალაევაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის მომზადების პროცესში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ს 2015 წლის 29 ივნისის №2-03 წერილი, (ცენტრში რეგისტრაციის №617148, 29.06.2015,), რომელსაც თან ერთვოდა დანართები: №3 - ნატალია ჩაგელიშვილის CV, №4 - ნატალია კოდალაევას დიპლომის ასლი, №5 - ნატალია კოდალაევას ზურაბ ჩაგელიშვილთა ქორწინების მოწმობა, №6 - ნატალია ჩაგელიშვილის პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო თამარ კირვალიძეზე, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომლის მიხედვითაც თამარ კირვალიძეს, სასერტიფიკაციო გამოცდის საფუძველზე მიენიჭა დაწყებითი საფეხურის (I-IV) მასწავლებლობის უფლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა უზუსტოვა დასკვნის მომზადების პროცესშივე იყო გასწორებული და, შესაბამისად, მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრა 100 მოსწავლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სკულ ი.ა.-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 7
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს ჯორჯ ვაშინგტომის ემერიკან სქულ ი.ა-ს (ს/კ: 405044991) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:20 საათზე.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
მაია მაღლაკელიძე